95

კვირა, 1918 წ. სექტემბრის 1 № 162

წლიწადი მეორე

კვირა, 1918 წ. სექტემბრის 1 № 162

ფ ა ს ი 40 კ ა პ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ც ი ა.

გაზეთით მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში [illegible] უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კის[ი]რულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 15 მ., 1 საათს შემდეგ 20 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

## დ ღ ე ს.

**წერილები.**

მეთაური — საქართველო და სამინისტროები.
L. — პოლიტიკა ჯარში.
ი. იმერელი — საქართველოს ჯარი.
პრესა

**ცნობები.**

საჩხერის რაიონში ბრბოებმა თავი კვლავ იჩინა. მოჰკლეს ბარათაშვილი. მთავრობის მოქმედება. სამხედრო მინისტრის ბრძანება. სახალხო განათლება. რუსეთი. უკანასკნელი ცნობები. ახალი ამბავი. ნიკოლოზ მეორის დღიურიდან. კანონები და სხვა.

---

ღრმათ დამწუხრებულნი ქვრივი ნენილინა ბესარიონის ასული; ვაჟიშვილები: იოსებ, ვარლამ, რაჟდენი და ლუკა; ქალიშვილები: ანიჩკა და თამარი; რძლები: ზინაიდა ივანეს ასული, თამარა პავლეს ასული, ქსენია ივანეს ასული; შვილის-შვილები: ლიდა, გიორგი, ავთანდილი და თამარი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**პავლე მათეს ძე ჩხეიძე**

პანაშვიდი ყოველ დღე 6 ნახ. საათზე (ძვ. დროით) გამოსვენება კვირას, 1 ენკენისთვეს ნაშუადღევის 4 საათზე, (ძვ. დრ.) საფიჩხიის სასაფლაოზე, საკუთარი სახლიდან ჭავჭავაძის ქუჩა № 26. 2—2

---

ღრმად დამწუხრებული მამა ზაქარია იგივე (ჭიჭიკო) გრიგოლის ძე ვარდანაშვილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 1 სექტემბერს (ახალი სტილით) დილის 11 საათზე გადახდილ იქნება გოჭოურის ეკლესიაზე წირვა და პანაშვიდი.

**მალვა ზაქარიას-ძე ვარდანაშვილის**

სულის მოსახსენებლად 2—2

---

კბილის ექიმები

მ. ი. ახვლედიანი და

ო. დ. პროშლიაკოვა

ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 ს.—2 ს. და საღამოს 5 ს.—7 ..

მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

## დიპლომატიური კურიერი.

საქართველოს საელჩოს რუსეთის ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბ. წინაშე ბრუნდება რუსეთში და მით აცხადებს, რომ ღებულობს წერილებს გადასაცემათ რუსეთში მცხოვრებ ქართველთათვის და ვისაც სურს შემოიტანოს გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში. 1 ენკენისთვემდის. 3—3

---

**იყიდება** სამხატვრო ყუთი ნიგვზის ხისაგან გაკეთებული. საღებავები, კისტები და სხვა სამხატვრო მოწყობილობები. იკითხეთ „ჩვ. ქვეყნის“ რედაქციაში.

**Продается** ящик для художника из орѣховаго дерева. краски, кисти и различныя художественныя принадлежности, справляться в редакцію газеты „Чвени Квекана“.

---

## ქუთაისი 1 ენკენისთვე.

**საქართველო და სამინისტროები.** კუმ თურმე ირბინა, ირბინა, დაღალდა, მაგრამ მაინც გადაირბინა ორი პატარა ბორცვი, შემდეგ მობრუნდა, გადახედა იმას, რაც გადაიარა და სავსე სიამაყით გმირულად წამოიძახა: ჰაა გადავიარე ალპის მთები და კავკასიის ქედიო.

სწორედ ეგრე ემართება ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს: როდესაც სოციალ დემოკრატებს ეკითხებიან რა გააკეთეთო, ისინი მედიდურად იძლევიან პასუხს: ჩვენ რუსეთის რევოლუცია მოვახდინეთო, ჩვენ საქართველოს თავისუფლება მივანიჭეთო.

არც ერთი და არც მეორე ბატონებო: რუსეთის აჯანყება მოახდინა გერმანიის ზარბაზნებმა, საქართველოს განთავისუფლების დაჩქარებაში რუსეთის ბოლშევიკებმა უფრო მეტი სამსახური გაგვიწიეს, ვიდრე ქართველ მენშევიკებმა.

— მაშ, რა გაუკეთეს განთავისუფლებულ საქართველოს და ქართველ ერს სოციალისტებმა! პასუხი ამის ადვილია: **სამინისტროები.**

რა თქმა უნდა მინისტრი და სამინისტრო სახელმწიფოში საჭიროა, საჭიროა არა ერთი მინისტრი და არა ერთი სამინისტრო: სახელმწიფოს აქვს თავის ორგანიზაცია, თავის ფუნქციები. მაგრამ სამინისტროებისა და სახელმწიფოს შორის უნდა იყოს „პრაპორცია“ და მიზანშეწონილობა: სამინისტროების მოცულობა ყოველშემთხვევაში სახელმწიფოს მოცულობაზე მეტი არ უნდა იყოს.

სამინისტრო იმიტომ კი არ არის საჭირო, რომ ყველა „დეიდაშვილებს“ „მამიდაშვილებს“ და დულცინიებს ადგილი მივცეთ, პარტიის ამხანაგებსაც სავარძლები მივართვათ: სამინისტრო უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს საჭიროებას.

თუ სახელმწიფო პატარაა და საქმეებიც ბევრი არ არის გასაკეთებელი, მაშინ სამინისტროც პატარა უნდა იყოს: შეხედეთ აბა ადერბეიჯანს როგორ მოაწყო თავის საქმე?

სამინისტროში არიან მხოლოდ მინისტრი და ორი მდივანი, საქმეებსაც ისე კი არ აძმარებენ იქ, როგორც ჩვენში და გოგოლის მირგოროდში.

ჩვენებური სოციალ-დემოკრატები ტრაბახობენ „ევროპიელები ვართ, საქმეების გაკეთება ვიცითო, მაგრამ ერთი გვიპასუხეთ-სად არის უფრო ჭკვიანად და ევროპიულად მოწყობილი სახელმწიფო: „სოციალისტურ„ საქართველოში თუ „ჩამორჩენილ“ ადერბეიჯანში?

ანუ შეიძლება საქართველოში სამინისტროების მოცულობა და შემადგენლობა პარტიული თვალთსაზრისით იყოს გაფართოებული, — შეიძლება, მაგრამ აქ საქართველოს ფულები იხარჯება და „ქვეყნის პროლეტარების“ და „სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის.

მოგეხსენებათ საქართველო პატარა სახელმწიფოა: ეხლა შეადგენს მხოლოდ ორ გუბერნიას. შეუძლია თუ არა პატარა საქართველოს ამდენი მინისტრების და სამინისტროების შენახვა?

აქ დიდი ფიქრი და პოლიტიკოსობა არ არის საჭირო: რა თქმა უნდა არ შეუძლია, არ შეუძლია იმიტომ, რომ პატარაა და მასთან სრულებით უფულოდ არის.

სხვა და სხვა დაწესებულების მოსამსახურეები თავის დროზე ჯამაგირებს არ ღებულობენ, შიმშილია სახელმწიფოში და საშუალებაც მდგომარეობის გაუმჯობესების არ არის; გამოვიდნენ სოციალისტები, დააარსეს სამინისტროები, უშოვეს ადგილი „ამხანაგებს,“ ცხოვრობენ როგორც ლორდები: ვის ახსოვს ქართველი ერი და საქართველო? დღეს ვინც ძლიერია, ის კმაყოფილია თავის ბედით.

ვინც სუსტია და ვისაც მინისტრობა და კომისრობა ვერ ღირსებია, არის ისე გაჩუმებული: რომ რამე გაბედოს და თქვას, კონტრრევოლუციონერი ხარო-ეტყვიან.

მაგრამ ჩვენ შევეჩვიეთ ჭამ სიტყვას ისე, როგორც სოციალისტების უპრინციპობას და თამამად ვამბობთ: პატარა და ღარიბი საქართველოს ამდენი სამინისტროების და მინისტრების შენახვა არ შეუძლია.

ჩვენ არ ვეტრფით მინისტრობას და კომისრობას: ჩვენ გველაპარაკებს მხოლოდ ქართველი ერის კეთილდღეობა.

---

## პოლიტიკა ჯარში.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკისათვის, მისი სუვერენობის განმტკიცებისათვის რეგულიარული ჯარის ყოლა აუცილებელია. სახელმწიფოებრივი ძალის შექმნა, ყოველგვარ სარევოლუციო რაზმებსა და მილიციის გარეშე აუცილებელ საჭიროებათ იქნა ყველას მიერ აღიარებული. ეს ჭეშმარიტება, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც დააკანონა ჩვენმა მთავრობამ. მას ინსტიქტიურათ საჭიროებს საქართველო. როგორც ვთქვით ამას დღეს არავინ უარყოფს. ეს რუბიკონი ჩვენ უკვე გადავლახეთ.

მაგრამ ისე, როგორც ბევრ სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხასიათის საკითხების მოგვარების დროს, ამ მხრივაც ჩვენ წინ ზანტად მივიწევით. ჩვენი, ჯერ კიდევ სრულიად მოუწყობელი ჯარის ნაწილები მიტინგობია-რეზოლუციების წერას ვერ გაუთავისუფლდა. ჩვენი ქალაქის ქუჩებს ჯერ კიდევ აუვლის და ჩაუვლის სხვადასხვა პარტიულ ლოზუნგებით წარწერილ დროშებით მავალი ჯარის ნაწილები. ჩვენ ჯარში ჯერ კიდევ „პოლიტიკა“ მეფობს, რომელიც სხვადასხვა პარტიულ პროპაგანდით გაღრმავდა მასში და გახრწნა მისი სული, გაანიავა მისი დისციპლინა. ხოლო თუ რას წარმოადგენს პოლიტიკური ლოზუნგებით მასაზრდოებელი ჯარი, ამის საუკეთესო მაგალითს რუსეთი იძლევა. როგორც მოსალოდნელი იყო იქ ჯარში პოლიტიკის გამეფებამ ძირიანად აღმოფხვრა თვით იდეა ორგანიზაციული სახელმწიფოებრივი ძალისა, როგორ ძალასაც წარმოადგენს რეგულიარული ჯარი სახელმწიფოში, არა თუ დემოკრატიულში თუ გინდ უაღრესად რევოლუციონურში.

ჯარის ძალა სწორეთ მის უპარტიობაში და პოლიტიკის უარყოფაშია, რამდენათაც მისთვის არსებობს ავტორიტეტი მმართველ უფროსებისა და სახელმწიფოებრივი ძალისა, რომლის სახით ის უფროსები მოქმედებენ. ჯარი არ უნდა წარმოადგენდეს პარტიული ჯგუფებით დაქსაქსულ ნაწილებს. იგი უნდა იყოს ერთი სახის მატარებელი და დარაჯათ უდგეს იმ სახელმწიფოებრივ დროშებს, რომლებიც ვერასოდეს ვერ შეიცვლებიან სხვა დროშებით, მით უმეტეს პარტიული

დროშებით და ზედ წარწერით სხვადასხვა პოლიტიკური ლოზუნგებით. ხოლო მასთან ერთად იგი შეინახავს ერთ სახეს მხოლოდ მაშინ, როცა უაღრესად დაცულია დისციპლინა. დისციპლინა არა ისეთი, რომელიც სხვადასხვა პარტიებში და თუ გინდ რუსეთის სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიაშია (რომელზედაც ამასწინად იყო ლაპარაკი). არამედ დისციპლინა, რომელსაც სამხედრო პოლიტიკა და მისი ცხოვრება მოითხოვს.

სხვანაირათ შეუძლებელია ადამიანმა შეიარაღებული სახელმწიფოებრივი ძალა წარმოიდგინოს, ვინაიდან თუ დარღვეულია სამხედრო კანონები და აუცილებელი მოთხოვნილებები, ურომლისოდ შეუძლებელია დისციპლინა, ეს სახელმწიფოებრივი ძალაც ირღვევა.

თუ ჯარის კაცებსა და ოფიცრებს უფლება მიეცემათ ჯარში, ყაზარმებში და სხვადასხვა ნაწილებში თავიანთი ინიციატორობით და მით უფრო სხვადასხვა ცილინდროსების ხელის შეწყობით კრებები იწვიონ, მიტინგები მართონ და ავრცელონ სხვადასხვა ლოზუნგები,

თუ სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში ნებადართული იქნება სხვადასხვა კომიტეტის მოწყობა,

თუ ჯარისკაცებს ნება მიეცემათ თავიანთ ნაწილებში აწყონ წმინდა პოლიტიკური იაჩეიკები, სადაც ხშირათ გამოიტანენ ხოლმე რეზოლუციებს და „კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებენ“ უფროსების გადაწყვეტილებას, ჯარის, დისციპლინიანი სახელმწიფოებრივი ძალის შედგენაზე ლაპარაკი ზედ-მეტია.

და ჩვენ გვგონია ჩვენი სამხედრო ნაწილები ჯერ კიდევ ასეთი მანიით არიან შეპყრობილნი. მათში ჯერ კიდევ პოლიტიკა მეფობს და მკვეთრი ძალის შექმნა, რომლის არსებობაზეა საქართველოს სიცოცხლე დამოკიდებული, დღეს იგვიანებს.

ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს მთავრობამ. სამხედრო დისციპლინის განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს ქართველმა მოქალაქემ. ამ საკითხს ჯეროვანად უნდა ჩაუკვირდეს, ქართველი სახელმწიფოს დამცველი ქართველი ჯარისკაცი და საჭირო რეზოლუცია აქ გამოიტანოს.

L.

## საქართველოს ჯარი.

საქართველოს მთავრობის უკანასკნელ კანონის ძალით ამ ჟამად ჯარში გაწვევა გრძელდება.

ნაწილებში სამხედრო ვალდებულნი თავს იყრიან და საქართველოს სახელმწიფოც მათ შეჰყურებს როგორც მის თვით არსებობის უმთავრეს ღერძს.

ცნობილია, რომ მარტო სამხედრო ვალდებულთა შეკრებით არ წარმოიშობა ჯარი-სამხედრო ძალა. უპირველესი პირობა ჯარის გაწვრთნა აღზრდა და საკუთარ ეროვნულ ტრადიციით აღგზნებაა.

უდისციპლინო უსწავლელი ჯარი იმედის ნაცვლად საშიში აჩრდილია სახელმწიფოსთვის.

შეკრების პროცესში მყოფი საქართველოს ლაშქარი უდიდეს ყურადღებას ითხოვს როგორც მთელი ერისგან ისე მთავრობა პარლამენტისგან. ჯარის გაქართულება მეტად გვიანდება. ჯარში ისევ უცხო ენაა გამეფებული.

ყველაფრის უცებ გაკეთება არ მოხერხდება, მაგრამ ქართული ჯარის ნაციონალიზაცია არავინ უწყის როდის მოხდება.

დღევანდელი სამხედრო კადრი არ არის ეროვნულად აღზრდილი, მათში ბევრმა სრულებით არ იცის ქართული ენა. აი, ამ გარემოების შესახებაც განსაკუთრებულად უნდა იფიქროს სამხედრო უწყებამ და თუ სხვა გამოსავალი არ ინახა ვალდებულჰყოს ყველა, რომ შეისწავლოს ქართული ენა.

იმ პირობებში და მდგომარეობაში ჯარის დატოვება, რომელშიც დღეს იმყოფება, საბედისწეროა სახელმწიფოსთვის. ჯარის კაცს ყაზარმაში შესვლისთანავე უნდა „ეცვალოს ფერი“ სამხედრო ვარჯიშობით, გავაჟკაცდეს, გაგულადდეს და გაეცნოს ომის ისტორიას.

თორემ ყაზარმებში ჯარის კაცნი, რომ შეკრიბოთ და უსულო საგანსავით უცქიროთ სახელმწიფოს ამით სიმაგრე არ შეექმნება.

მართალია ყოველ მხრიდან ანარქიის ცეცხლი მოგვეკიდა, ჯარი შინაურ ფრონტებზეა დაბანდებული, მაგრამ მცირედი თავისუფალი ჯარიც თუ არის, იგი გათრკეცებულ მაცადინობას უნდა აწარმოებდეს. ჯარის შესწავლა, გაჩვევა—გაწვრთნა უნდა დაიწყოს ამ თავიდანვე ეროვნულ ნიადაგზე. გარეშე ყოველგვარ პოლიტიკისა, ჯგუფობა პარტიობისა, ერთ ბრძანებლობის ქვეშ.

განწმენდა სჭირია ჯარს სხვათა შორის შეუფერებელ მხედრობისგან, რომელნიც ომიანობის ხანაში იქცენ ჯარის ხელმძღვანელ-მეთაურებად. ჯარის საპატრონო მომვლელ წინამძღოლებად მოწოდებულ უნდა იქმნენ სამხედრო დარგში ნასწავლი, გამოცდილი და დახელოვნებული პირები.

ჯარის საკითხს გამუდმებულად ირგვლივ უნდა უტრიალოს მთავრობამ და იგი საერთო სახელმწიფოებრივ თანამშრომლობით ეცადოს მის მაგრად შეკავშირებაზე.

**ი. იმერელი.**

## პრესის მიმოხილვა.

ჩვენი ნორჩი სახელმწიფო ფინანსიურათ ძალიან ჩამოქვეითებულია. მისი არსებობა ამ მხრივ საგრძნობლათ შევიწროვებულია და გამოეძებნა სხვადასხვა შემოსავლიანი წყაროებისა დღიურ წესრიგშია დასმული. ასეთ წყაროთ სხვათა-შორის ჩვენი საბაჟოების არსებობაა. „საქართველო“ აქცევს ამ გარემოებას ყურადღებას და სწერს:

„რომელ სისტემას მიემხრობა საქართველოს რესპუბლიკა ეკონომიური პოლიტიკის სფეროში—პროტექციონიზს თუ ფრიტრედერულს? ექნება ჩვენ სახელმწიფოს საბაჟო კედლები თუ მისი კარები ღია იქნება უცხო ინდუსტრიის ნაწარმოებისათვის? პირველ შემთხვევაში ჩვენ შეგვეძლება საკუთარი ბაზრის შეწყობით ვასაზრდოოთ და თანდათან განვამტკიცოთ საკუთარი ეროვნული მრეწველობა, მეორე შემთხვევაში ჩვენი ნორჩი სამრეწველო კაპიტალი ჩანასახშივე ჩაკვდება. ჩვენ დავრჩებით მიწათ-მოქმედ ერად. ჩვენი ქვეყნის ნედლ მასალას უცხოელები გამოიყენებენ, იაფ ფასებში იყიდიან, ჩვენ ხეტყეს, მადნეულობას და მიწის ნაყოფს, რათა შემდეგ დამუშავებული ფაბრიკატები ძვირ ფასებში მოგვყიდონ.

ფრიტრედერული სისტემა წარმოშობით ლიბერალურ აზროვნებასთან არის შეკავშირებული, მაგრამ ეს სისტემა ყოველთვის და ყოველ გვარ შემთხვევაში როდი გულისხმობს ხალხის ინტერესების დაცვას. ამას მოწმობს სხვათა შორის ის გარემოებაც, რომ ავსტრალია და ახალი ზელანდია, სადაც მუშათა პარტიაა გაბატონებული, მფარველობითი სისტემისკენ გადაიხარა. თვით ინგლისის ლიბერალური პარტია, რომელიც ყოველთვის თავისუფალ ვაჭრობას იდეას იცავდა, წინანდებურად მტკიცედ ვეღარ სდგას ტრადიციულს პოზიციეზე. ამ პარტიას უკანასკნელ დროს გამოეყო ერთი დიდი ნაწილი, რომელიც ლოიდ ჯორჯის მეთაურობით უარს ამბობს ფრიტრედერულ პრინციპებზე და საბაჟო ზღუდეების ამართვას აპირობს.

თუ ასეთი ევოლუციას ხდება დიდს ბრიტანეთში, სადაც აყვავებული და ძალოვანი ინდუსტრიაა, საქართველოში, სადაც თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი ქარხანა და ფაბრიკა არ მოიპოვება, კიდევ უფრო ძლიერი უნდა იყოს პროტექციონისტური მოძრაობა. სახელმწიფო ხაზინა იმდენად უმწეო მდგომარეობაში იმყოფება, რომ ჩვენ საჭიროებით უარს ვერ ვიტყვით თვით ეგრეთ წოდებულ ფინანსიურ ბაჟებზე. მაგრამ დაბაჟვის დროს უწინარეს ყოვლისა მაინც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ქართული მრეწველისა და ქართველი მომხმარებელის ინტერესები. ამიტომ პირველ მოსახმარ ნივთებისა და ნედლის მასალის დაბაჟვა არ არის სასურველი.

ეროვნულმა საბჭომ 27 აგვისტოს სხდომაზე განიხილა და მიიღო კანონპროექტი საბაჟო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ. ამ კანონპროექტის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე უქმდებიან რუსეთის ყოფილი საბაჟო დაწესებულებანი და მათ ადგილას ცხრამეტი ახალი საბაჟო სდგება. საყურადღებოა, რომ კანონპროექტის შემწეობით დიდათ მარტივდება საქმის წარმოება. ეს იწვევს თავის მხრივ ხარჯების შემცირებასაც. საბაჟო დაწესებულების შენახვა მიმდინარე წლის დასასრულამდე სულ 543,000 მანეთი დაჯდება, თვენახევრის განმავლობაში კი მათი შემოსავალი უკვე 562,000 მანეთს უდრიდა. მოსალოდნელია, რომ ნახევარი წლის შემოსავალი ოთხჯერ ან ხუთჯერ გადააჭარბებს გასავალს.

ომის დროს აღებ-მიცემობა შეკვეცილია, ამას გარდა საქართველოს ჯერ კიდევ არ ჰყავს საზღვრების დამცველი ჯარი. უეჭველია, რომ მშვიდობიანობის დროს, როცა გარედ ვაჭრობა გაცხოველდება და სახელმწიფო საზღვრებიც სათანადოთ იქნება დაცული, ბაჟები ხაზინის შემოსავლის ერთს უდიდეს წყაროდ გადაიქცევა.“

# საქართველო.

## მთავრობის მოქმედება.

გზათა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა:

1) შავი ქვის გადაზიდვის ტარიფი გადიდებულ იქნას 67,6 კაპეიკამდე ფუთზე, რის შესახებ კანონ პროექტი გადაცემულ იქნეს ეროვნულ საბჭოში.

2) მიეცეს გზათა მიმოსვლის მინისტრს უფლება დანიშნოს კახეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარე.

3) ამა წლის 10 სექტემბრიდან მოისპოს ოფიცრების უფლება რკინის გზების მატარებლებში მესამე კლასის ბილეთით მეორე კლასში და მეორე კლასის ბილეთით პირველ კლასში მოგზაურობის შესახებ.

— მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: მიეცეს ქალაქთა კავშირს მომარაგების კომიტეტის თანხიდან ნახევარი იმ ფულისა, რომელიც საჭიროა ლაზარეთის № 33 მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად ორი თვისა და ოცი დღის ჯამაგირით.

— შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით დადგენილ იქმნა მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს მოახდინოს ბიხოვის ლიტოგრაფიის კონფისკაცია.

— მიენდო სამხედრო მინისტრს გამოაცხადოს საერთო განკარგულება სამხედრო ნივთებით ვაჭრობით აკრძალვის შესახებ.

## სამხედრო მინისტრის ბრძანება.

ჩემამდე მოაღწია ცნობამ, რომ ზოგიერთი ოფიცერი კადრულობს ისეთ პაგონების ტარებას, რაიც მათ ჩინს არ შეესაბამება. ვუბრძანებ ყველა დივიზიის გარნიზონის და ყველა დაწესებულებათა უფროსებს და აგრეთვე ნაწილთა კომანდირებს, სასტიკი თვალყური ადევნონ ამა მოვლენას და დამნაშავე ოფიცრები წარმოადგინონ დასათხოვნად და სამხედრო სამართალში მისაცემად.

მოვითხოვ ყველა ოფიცერს მუდამ თანა ჰქონდეს პიროვნების და იმ ნაწილის მოწმობა, სადაც იგი მსახურებს სათანადო ჩინის აღნიშნით.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

## სახალხო განათლება.

სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო მაზლიშის საორგანიზაციო კომისიას გახსნას კერძო უფლებიანი გიმნაზია რეალურ განყოფილებით. აგრეთვე სახ. გან მინისტრმა ცირკულიარი დაუგზავნა რესპუბლიკის საშუალო სასწავლებელთა დირექტორებს, რომ ყოფილი სამხედრო გიმნაზიის მოწაფენი გამოცდის ჩაუბარებლად უნდა იქმნენ მიღებული კლასიკურ გიმნაზიის პირველ ოთხს კლასებში, ხოლო რეალურ სასწავლებლებშიკი ყველა კლასებში.

# უცხოეთი.

## რუსეთი.

**ოფიცერთა გაწვევა.**

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ნობათში და სხვა მოსკოვის გაზეთებში გამოცხადებულია შემდეგი ბრძანება:

„მოსკოვი, 5 აგვისტო 1918 წ. № 605. 7 აგვისტოს ყველა ყოფილი ოფიცრები 60 წლამდი უნდა გამოცხადდენ შესაკრებ ადგილზე: მანეჟი, ყოფილი ალექსეევის სამხედრო სასწავლებელი (ლეფორტოვო).

გამოცხადების დრო დილის ათი საათია. შეუძლიათ არ გამოცხადდენ ყოფილი ოფიცრები, რომლებიც ეხლა ჯარში და სხვადასხვა სამხედრო დაწესებულებებში ირიცხებიან. მოსკოვის კომისარიატებისა და სარაიონო კომისარიატების წარმომადგენლები უნდა გამოცხადდენ იქვე და მოაწყონ რეგისტრაცია.

**გაწვეულ ოფიცერთა ბედი.**

როგორც მოსკოვის გაზეთი „მირი“ იტყობინება, გაწვეულ ოფიცერთა ბედი არც თუ ისე სანუგეშოა. დაჭერილი ოფიცრები სიმშილს განიცდიან.

**მოსკოვის დაცლა.**

გაზეთ „საღამოს ნობათში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„სახალხო, კომისართა დეკრეტის თანხმად მოსკოვის არა მშრომელ ელემენტებისაგან დაცლისა, ცენტრალური საბინო კომისია წინადადებას აძლევს ყველა მოსკოვის მცხოვრებთ, დასტოვონ მოსკოვი“.

**შ ი მ შ ი ლ ი.**

ტულიდან იუწყებიან, რომ იქ შიმშილი მძვინვარებს. განსაკუთრებით ბავშვები იხოცებიან.

**„ბუნტი“ ვიაზმაში.**

ვიაზმაში სამი დღის განმავლობაში, უსურსათობის გამო, საშინელ არეულობას ჰქონდა ადგილი. წითელ არმიელები უარს ამბობენ დაწყნარებაზე. სასურსათო კომისარიატი დამსხვრეულია, ცარიელი პურის საწყობი დაწვეს.

**მილიუკოვი ახალ პარტიას ადგენს.**

„ბერლინერ ტაგებლატი“ გადმოგვცემს თითქოს მილიუკოვმა თავი დაანება კადეტთა პარტიის ხელმძღვანელობას და ადგენს ახალ პარტიას, ახალი პროგრამით.

**ცილისწამება ქართველებზე.**

პეტროგრადის გაზეთები სავსეა ქართველი ერის გინებით. პროვოკაციას საზღვარი არა აქვს. გაუვრცელებიათ ხმები, ვითომც რუსის ოფიცრობას მასიურადა ჰჟლეტენ, ვითომც თბილისში მათ ბართლომეს ღამე გაუთენეს როგორც სევა-

სტოპოლში, სტავროპოლში და სხვ. ამბობენ იმასაც, ვითომც რუსის ოფიცრობას და საზოგადოდ ყველა არა ქართველს დახვრეტით ემუქრებოდენ, თუ ქართულად არ ილაპარაკებდნენ, ცხადია, ასეთი ხმები სამართლიანად აღელვებდა ყველას საქართველოსა და ქართველი ერის წინაღმდეგ.

**300 მილიონ ჩეხო-სლოვაკებთან საბრძოლველად.**

სახალხო კომისართა საბჭომს 300 მილიონი მანეთი გადასდო მურმანზე ჩეხო-სლოვაკებს და შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

## უკანასკნელი ცნობები.

— „ბერ. ტაგებლატს“ რეიტერი ოფიციალურად ატყობინებს: „იაპონიამ მიიღო შეერთებულ შტატების წინადადება, რომ ციმბირში ჩეხო-სლოვაკებს დაეხმაროს. იაპონიის გამოსვლის გადაწყვეტილება მიიღო მთავრობამ, პარლამენტში მყოფ ძლიერი ოპოზიციის მიუხედავათ. გადაწყვეტილების მიზანია რუსეთის ყოფილ ფარგლებში აღდგენა და დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცება.

— სტოკჰოლმიდან ცნობაა, რომ ჩინეთის მთავრობამ ციმბირის მთავრობას შეატყობინა: იაპონიასთან ერთად დავეხმარები ციმბირის მთავრობას და ამისათვის ახლო მომავალში ხარბინში ჩავლენ ჩინეთის ჯარები, რომელნიც იაპონიის ჯარებში იქნებიან შერეულნი იაპონელ სარდალის განკარგულებაში.

— როტერდამიდან იტყობინებიან, რომ 29 ივლისს ინგლისის მინისტრ მეშის წარმოთქმულმა სიტყვამ, რომელიც მეშების მიმართ იყო მიმართული დიდი გავლენა მოახდინა და იმ საღამოვე თითქმის მთელ სამეფოში შეწყდა გაფიცვები.

— ბერნში მყოფ ოსმალეთის 30 ივლისის თარიღით გამოაქვეყნა ცნობა, რომლითაც აქარწყლებს გაზეთებში დაბეჭდილ ამბებს საზღვარგარეთულ შეთანხმებათა წრეებთან ოსმალეთის დაახლოვებას. ოსმალეთის მთავრობას ასეთი ნაბიჯი არ გადაუდგამს და სტამბოლში ბერნიდან ჩამოსულ ოსმალეთის ელჩს ამ კითხვასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვსო.

# ახალი ამბავი

## ქუთაისი

**ანარქიასთან ბრძოლა.** გუბერნიის კომისარს ჭიათურიდან ატყობინებენ, რომ ჯარის წასვლისთანავე ს. ხრეითში შევიდა ბრბოები და შეესია სხვადასხვა სოფლებს. ს. კაცხში მოჰკლეს ბარათაშვილი. სოფლის მოწინავე პირები შეშინებულნი ჭიათურისაკენ გამორბიან.

✦ **ნ. ჟორდანია** თფილისიდან დასავლეთ საქართველოსაკენ გაემგზავრა.

✦ **800 ფუთი შაქრის შესახებ.** გუბ. კომისრის განკარგულებით დააპატიმრეს სამაზრო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე პოლიკ. ნიშნიანიძე, რომელსაც ჯიმშელეიშვილთან ერთად ბრალდება 800 ფუთი შაქრის გადამალვაში მონაწილეობის მიღება. ამ საქმის გამო თეოფილე ჯიმშელეიშვილი უკვე ერთი კვირაა რაც ციხეში ზის.

✦ **სალიკვიდაციო და სარევიზიო კომისია.** შესდგა ქალაქის სასურსათო კომიტეტის სალიკვიდაციო და სარევიზიო კომისია. კომისიაში შედიან სასურსათო სამინისტროს რწმუნებული ლონ. გრიგოლია, ქალაქის გამგეობის წარმომადგენელია. მეფისაშვილი, ილია ზახტაძე, ილია შვანგირაძე, მიხ. ბერძული, ვ. ასათიანი და ვ. ჯაფარიძე. კომისია ხვალიდან შეუდგება ქალაქის სასურსათო კომიტეტის საქმეების ლიკვიდაციას და რევიზიას.

✦ **ერობის არჩევნები ხონში.** სამაზრო საერობო კომისიას ცნობა მოუვიდა, რომ ხონის სარაიონო საერობო კომისია და ინსტრუქტორი, საარჩევნო სამზადისს სათანადო ვერ ეწევიან. ამის გამო 2 სექტემბერს ხონში მიემგზავრება სამაზრო საერობო კომისიის თავმჯ. ნუცუბიძე.

✦ **სამაზრო ერობა.** გარდა ხონისა და ტყიბულის რაიონების ერობის არჩევნები მთელ მაზრაში დასრულდა. გავიდენ: ბლოკიდან 28 ხმოსანი, ეროვნულ-დემოკრატებიდან 8. ხმოსანი და ს. რევ. 2. ხმოსნების სახელი და გვარი ამ დღეებში გამოქვეყნდება.

✦ **შეშის გატანის ნებართვა.** მიწათმოქმედების მინისტრის განკარგულებით კანონიერათ დამზადებულ შეშის გატანის მოწმობას იძლევა სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა თუ შეშა 30 საჟ. არ აღემატება, თუ 30 საჟ. მეტია მაშინ უნდა მიმართონ საგუბერნიო საადგილ მამულო გამგეობას ასეთი ნებართვა თუ არ ექნათ სადგურის უფროსები შეშას გასაგზავნათ ვერ მიიღებენ.

✦ **სარაიონო საადგილ-მამულო კომიტეტების გაუქმება.** ქუთაისის საადგილ-მამულო გამგეობამ სთხოვა მიწათ-მოქმედების მინისტრს, რათა გაეუქმა ან დახმარება აღმოეჩინა სარაიონო საადგილ-მამულო კომიტეტებისათვის სამიწად-მოქმედო სამინისტრომ გამგეობას აცნობა, რომ კომიტეტები გაუქმებულია და სასწრაფოთ გვაცნობეთ მათ სალიკვიდაციოთ. რამდენი თანხა იქნება საჭირო სამაზრო გამგეობა უკვე შეუდგა სარაიონო კომიტეტების ლიკვიდაციას.

✦ **დაპატიმრება.** გუშინ დააპატიმრეს და საგუბერნიო ციხეში მოათავსეს ჯარის კაცი გრიგოლ ფურცელაძე, რომელმაც არ მოისურვა ნახარჯის გასწორება რესტორანის პატრონთან და მის შესაშინებლათ რამდენჯერმე რევოლვერი გაისროლა.

✦ **უწესობა გამყრელიძის ცირკში.** 30 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე გამყრელიძის ცირკთან გალეშილმა ჯარის კაცებმა მილიციელებს ჩხუბი აუტეხეს ჯარის კაცებმა მილიციელს თოფი და რევოლვერი წაართვეს და მიიმალენ.

**ხოლერა.** ხოლერით გუშინ ავათ გახდა ხრესილელი ახალგაზდა თეოფილე გვეტაძე, რომელიც მოთავსებულ იქმნა ბარაკში; ფერმის ქუჩაზე გელოვანის ქალი. ავათ გახდენ აგრეთვე ხოლერის ნიშნებით 4 კაცი.

✦ **წყალსადენის საკითხი.** ქალაქის თავი დიმ. კალანდარაშვილი თფილისიდან დეპეშით იტყობინება, რომ ქუთაისის წყალსადენის საკითხი მთავრობაში ერთი კვირის განმავლობაში გაირჩევაო.

✦ **ტელეფონის შეძენა.** თბილისში ქალაქის თავს უკვე შეუძენია ტელეფონის მოწყობილება ქალაქისათვის.

✦ **ბინა მოსწონთ.** პროფესიონალური კავშირების ცენტრალური საბჭო ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ მას საშვალება აქვს ბიბლიოთეკისთვის იშოვოს უკეთესი შენობა და უფრო უკეთეს ადგილას. ამიტომ ისინი ითხოვენ რიჟინაშვილის შენობა მათ მიეცეთ.(!?).

### შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის მე-161 ნუმერში ბ. კ. კაპანელი ჰანტურაიას წერილში „ეროვნული სული“ შემდეგი კორექტორული შეცდომები გაგვეპარა: მეხუთე სვეტში ზევიდან მე 24 სტრიქონში დასტამბულია: განა სხვა რომელიმე ერის ლექსიკონში არის გამოხატული სადმე ჯერ კონკრეტიულად და მოკლედ „ეროვნული სულის“ კვეთება **უნდა იყოს**. განა რომელიმე სხვა ერის ლექსიკონში არის გამოხატული სადმე ეგრე კონკრეტიულად და სხვა.

## თბილისი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო ქუთაისიდან საგუბერნიო კომისარ გრიგოლიასაგან: „გთხოვთ მაცნობოთ, მიიღო თუ არა ეროვნულ საბჭომ კანონი საგანგებო სასამართლოების შესახებ. საჭიროა ნატანების თავდასხმის საქმის განხილვა სასწრაფოდ. არიან სხვა პატიმრებიც, რომელთაც სხვადასხვა ბოროტ მოქმედება ბრალდებათ და მათი საქმის დროთი განხილვაც საჭიროა გუბერნიაში წესიერების დროზე აღსადგენად. ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს ჯერ არავითარი ცნობა არ მიუღია ამის შესახებ.“

— ქ. დუშეთის მეციხოვნეთა უფროსი გრიგოლია შემდეგს აცნობებს შინაგან საქმეთა მინისტრს: თანახმად რაზმის უფროსის გენერალ კონიაშვილის ბრძანებისა, ლტოლვილების გაშვების შესახებ ვუბრძანებ ჩემდამი რწმუნებულ გარნიზონის სახელმწიფო ყველა დაწესებულებებს, არ გამოუშვან თბილისიდან დუშეთში საქართველოს სამხედრო გზით არც ერთი ლტოლვილი განკარგულების მოხდენამდე.

— შინაგან საქმეთა მინისტრმა თბილისის და ქუთაისის გუბერნიის კომისრებს და თბ. მილიციის უფროსს დაუგზავნა საყოველთაო ბრძანება შესახებ იმ ჩარჩ-ვაჭრობისა, დაწესებულებათა წარმომადგენლების და აგრეთვე კერძო მცხოვრებთა, რომელნიც ხელს უშლიან სასურსათო-სამინისტროს რწმუნებულებს სურსათ-სანოვაგის საკითხის მოწესრიგებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულმა რაზმმა დაატუსაღა ივ. შლეიზინგერი კონტრევოლუციონურ მოქმედებისათვის.

## ნიკოლოზ მეორეს დღიურიდან.

„ც. ა. ქ. უწყებას“ მოჰყავს ნიკოლოზ II-ის დღიურიდან საინტერესო ისტორიული დოკუმენტები.

ეს დღიური დაწერილია თვით რომანოვის ხელით, იმ დღეებში, როდესაც აბობოქრებული ხალხი რუსეთის მონარქიის ბედსა სწყვეტდა—თებერვალი, მარტი და მისი მიმყოლი თვეები დიდი რევოლუციისა.

ვიწყებთ 1917 წ. 26 თებერვლიდან.

### დ ღ ი უ რ ი.

„26 თებერვალი. კვირა. 10 საათზე წაველი წირვაზე.

მოხსენებები დროით დამთავრდა. საუზმეზე ბევრი ხალხი იყო, უმრავლესობა უცხოელები. მივწერე ალისას (ალექსანდრა თეოდორეს ასულს) და გავისეირნე ბობრუისკის გზატკეცილზე სამლოცველოსკენ.

კარგი ამინდი იდგა. ჩაის შემდეგ სადილის წინ მივიღე სენატორი ტრეგუფოვი. საღამოთი ვითამაშე დომინო.

27 თებერვალი. ორშაბათი. რამდენიმე დღის წინად პეტროგრადში არეულობა დაიწყო. საუბედუროთ არეულობაში ჯარიც ღებულობს მონაწილეობას. საძაგლობაა ასე შორს იყო და ცუდ ამბებს ნაწყვეტობით ღებულობდე. ცოტა ხნით მოვისმინე მოხსენებები.

დღისით ორშას გზატკეცილზე გავისეირნე. მზიანი დღე იდგა. ნასადილევს გადავწყვიტე „ცარსკოე სელოში“ წასვლა. შუაღამის პირველ საათზე მატარებელში გადავედი.

28 თებერვალი. სამშაბათი. დილის ოთხის ნახევარზე დავწექი, რადგან დიდხანს ვებაასე ნ. ივანოვს, რომელსაც პეტროგრადში ვაგზავნი ჯარებით წესიერების აღსადგენათ. მეძინა 10 საათამდის. მოგილოვიდან დილის ხუთ საათზე გავედით. ყინავდა, თუმცა მზიანი დღე იყო. ვიაზმა, რჟევი, ლიხოსლავი გავიარეთ 9 საათი.

1 მარტი. ოთხშაბათი. ღამით დაბა ვიშერიდან მოვბრუნდი, რადგან ლიუბანი და ტოსნო აჯანყებულებით იყო დაკავებული. გავიარეთ ვალდაიზე, დნოზე და პსკოვში გავჩერდით, სადაც გავათიეთ. ვინახულე რუზსკი. ისა, დანილოვი და სავიჩი სადილობდენ. გატჩინა და ლუგაც მეამბოხეებით დაკავებული გამოდგა. რა სირცხვილია და სახელის გატეხა?! „ცარსკოე სელომდი“ მისვლა აღარ მოხერხდა: გრძნობა და გონება კი იქ არის. როგორი ძნელი უნდა იყოს საწყალ ალისასათვის ყოველივე ამის გადატანა. ღმერთო გვიშველე.

2 მარტი. ხუთშაბათი. დილით მოვიდა რუზსკი და წამიკითხა როძიანკოსგან პირდაპირი მავთულით თავისი გრძელი ნალაპარაკევი. მისი სიტყვებით პეტროგრადში მდგომარეობა ისეთია, რომ სამინისტრო უძლური არის რაიმე მოუხერხოს, რადგან სოციალ-დემოკრატიული პარტია იბრძვის მუშათა კომიტეტის სახელით. საჭიროა ჩემი ტახტიდან გადადგომა. რუზსკიმ ეს ამბავი ჩემს ბანაკს გადასცა და ალექსეევმა კი — ყველა მთავარ სარდლებს. პირველის ნახევარზე ყველგან პასუხი მივიღეთ. ყველას აზრი ერთნაირია, რუსეთის გადარჩენისთვის და ფრონტებზე ჯარების მშვიდათ ყოფნისათვის საჭიროა გადავწყვიტო ეს ნაბიჯი. დავთანხმდი. ბანაკიდან გამოგზავნეს მანიფესტის პროექტი. საღამოს პეტროგრადიდან მოვიდნენ გუჩკოვი და შულგინი, რომელთაც მოველაპარაკე და გადავეცი შესწორებული და ხელმოწერილი მანიფესტი. ღამის პირველ საათზე გავედი მოსკოვიდან დამძიმებულ გრძნობით შეპყრობილი. მთლად გარშემო ღალატია, სილაჩრე და მოტყუება“.

## ოსეთში.

ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იმისა, რომ სოფლად ანარქიაა გამეფებული, რომ ძარცვა-გლეჯა-თავდასხმებმა საშინელი ხასიათი მიიღო და არღვევს მშვიდობიან ცხოვრებას, როგორც ვიცით, არის ის, რომ სოფლებში დაძრწიან შეიარაღებული პირნი, რომლებიც არავის ანგარიშს არ უწევენ და იარაღს ისე იყენებენ, როგორც მათ მოეხასიათებათ. მათი ალაგმვა, იარაღის აყრა —აი რას შეუძლია ხელი შეუწყოს იქ მშვიდობიანობის დამკვიდრებას. ამის ნიშნები უკვე არის. გორის მაზრის იმ რაიონებში, სადაც იარაღი აყარეს შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, სადაც თამამად შეიძლება მუშაობა. აქ კი, სადაც ეს ვერ მოხერხდა მუშაობა თითქმის შეუძლებელი ხდება და ათასგვარი ბოროტ-მოქმედება ეპიდემიურ ხასიათს იღებს. ასეა უმთავრესად იმ რაიონებში, სადაც ოსები ცხოვრობენ,—განსაკუთრებით ცხინვალსამთო ოსეთის რაიონში. იქ ამ ბოლო დროს ძარცვა-გლეჯა-თავდასხმები ისე გახშირდა, რომ პირდაპირ შეუძლებელი ხდება მშვიდობიანი ცხოვრება. და ეს იმიტომ, რომ ოსების იარაღის აყრა ჯერ ჯეროვნით არ მოხერხდა. ოსი გლეხი საშინელი წინააღმდეგია იარაღის ჩაბარებისა, მას ეს დამცირებათ მიაჩნია, ამაში ის ხედავს თავის პოლიტიკურ მტრობას და სხვ. მაგრამ ასე ფიქრობს არა მარტო შეუგნებელი ნაწილი ოსობისა, არამედ ინტელიგენტებიც,—ისინი, რომლებიც ხალხს სათავეში უდგანან. იმის მაგიერ, რომ ხალხს აუხსნან საქმის ვითარება, დაარწმუნონ წინააღმდეგში და ხელი შეუწყონ შეიარაღებულ პირთა ალაგმვას,—ისინი წინ ეღობებიან კომისრებისა და ჩვენი ამხანაგების მუშაობას და ხშირათ თავის მფარველობას-უწევენ ასეთ პირებს. მაგალითისათვის შორს არ წავალთ. ცხინვალის რაიონის კომისარი ბოცვაძე შეუდგა არასაიმედო პირთა იარაღის აყრას. სამთო ოსეთის რაიონის კომისარს ლ. ცხოვრებოვს ეს არ მოეწონა და მოთხოვა ბოცვაძეს დაებრუნებია ის იარაღი, რომელიც აყარა მან ოსებს. ბოცვაძემ ოსების ეროვნულ საბჭოს მიმართა ამ უკანასკნელმა კი არამც თუ არ მოიწონა კომისარ ბოცვაძის მოქმედება და აღუთქვა მას ამ საქმეში დახმარება,—პირიქით მან მხარი დაუჭირა ცხოვრებოვის მოთხოვნას. საბჭოს თავმჯდომარემ შემდეგი წერილი გამოუგზავნა კომისარ ბოცვაძეს:

„ცხინვალის რაიონის კომისარს. თქვენი 22 აგვისტოს თარიღით № 1461 მოწერილობის გამო, სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო გთხოვთ ის იარაღი, რომელიც ჩამოართვით სხვადასხვა პირთ, ეროვნულ საბჭოს გადასაცემათ, გადაეცით სამთო ოსეთის რაიონის კომისარს პორუჩიკ ლეონიდე ცხოვრებოვს და თან გვეცნობოს ცნობები იმ ოსების შესახებ, რომლებიც უწესოებას სჩადიან, რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ პირთა წინააღმდეგ საჭირო ზომები მივიღოთ. სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ა. ტიბილოვი“.

რას ნიშნავს ეს წერილი? აქვს თუ არა ოსების ეროვნულ საბჭოს უფლება მიითვისოს ადმინისტრატიული ფუნქციები და ამ უფლებით ისარგებლოს ჩვენი კომისრების წინააღმდეგ? ჩვენ ვფიქრობთ, ამის უფლება მას არ აქვს. თუ ეროვნულ საბჭოს სურს მშვიდობიანობის დამყარება ოსეთში, იგი უნდა დაეხმაროს ჩვენს კომისრებს იარაღის აყრაში და არა გააუქმოს მისი განკარგულებანი.

ამას მოითხოვს საერთო ინტერესები, ამასვე მოითხოვს თვით ოსეთის ინტერესებიც. „ერთობა“.

## კანონები.

**27 აგვისტოს სხდომაზედ მიღებული კანონი საბაჟო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ.**

1. უქმდებიან საქართველოს ტერიტორიაზე ყველა საბაჟო დაწესებულებანი, რომელნიც დაუარსებია რუსეთის იმპერიის მთავრობას.

2. ყველა ზემოხსენებული საბაჟო უწყებათა (იხ. 1 მ. ამა კან.) მოხელენი რჩებიან შტატს გარეშე საერთო კანონის წესით, თუ ისინი ხელ-ახლად არ ჩაირიცხებიან სამსახურში.

3. არსდება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 19 საბაჟო უწყება შემდეგ ადგილებში:

ა. მთავარი საბაჟო ცენტრალური მართვა-გამგეობის უფლებით ქალაქ თბილისში.

ბ. პირველი ხარისხის საბაჟო ქალაქ ფოთში.

გ) მეორე ხარისხის საბაჟოები — ნატანებში და სოხუმში.

დ) მესამე ხარისხის საბაჟოები — გუდაუთში, ოჩემჩირეში, ათონში, ყულევში, ანაკლიაში, ფოილოში, შავალში, ლაგოდეხში, ვორონცოვკაში, ნარლევანში, ბაკურიანში, აწყურში, აბასთუმანში, ოზურგეთში და დარიალში.

4. ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს ეძლევა უფლება საგარეო მინისტრთან შეთანხმებით ზემოხსენებული საბაჟოები (ხ. 3 მ. ამა კან.) გადაიტანოს ერთი ადგილიდან მეორეზედ, შესცვალოს საბაჟოების ხარისხები. გაადიდოს და შეამოკლოს შტატები, თუ კი ხსენებული ცვლილებანი არ გამოიწვევენ ზედმეტ ხარჯებს.

5. მთავარ და პირველ ხარისხის საბაჟოებს, ეძლევათ უფლება ყოველგვარი საქონლის შემოტანისა და გატანისა ნება დართვისა და მის დაბაჟვისა.

6. მეორე და მესამე ხარისხის საბაჟოებს ეძლევათ იგივე უფლება (იხ. 5 მ. ამა კან.) გარდა იმ საქონელთა დაბაჟვისა რომელთაც ესაჭიროება ქიმიური ანალიზი, როგორც არიან: წამლები, საათფთიაქო და სალებავი მასალები.

**მართვა გამგეობა.**

7. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი განაგებს მთელ საბაჟო უწყების საქმეებს მთავარ საბაჟოს საშვალებით.

8. მთავარ საბაჟოს, როგორც ცენტრალურ სამმართველო დაწესებულებას ენიჭება უფლება მართვა-გამგეობისა შემდეგის წესით:

ა) ყველა საბაჟო დაწესებულებანი საქართველოს რესპუბლიკისა მართვა-გამგეობის მხრივ ექვემდებარებიან მთავარ საბაჟოს, რომელიც თვალყურს ადევნებს, რათა გამოცემული საბაჟოსათვის კანონები იურიდიული და ფორმალური მხრით შესაფერად იქნენ აღსრულებულნი:

ბ) შესაფერი განმარტებას აძლევს საჭირო და გაუგებარ კითხვებზედ; გ) სცემს საჭირო განკარგულებას და უხსნის ტარიფის სწორედ მიღებას და მკაფიო გამოხატულებას პრაქტიკულად; და) ითვლება წარმომადგენლად: სასამართლოს წინაშე.

9. მთავარი საბაჟოს გამგე ინიშნება ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის წარდგენით და მთავრობის განკარგულებით.

10. მთავარ საბაჟოს გამგის თანაშემწენი პირველი ხარისხის საბაჟოებისა, გამგენი მეორე და მესამე ხარისხის საბაჟოებისა; რევიზორები, კონტროლიორები, მდივნები, ბუხგალტერები, საწყობების ზედამხედველნი და გემთა ზედამხედველნი ინიშნებიან მინისტრის განკარგულებით; სხვა დანარჩენი მოხელენი ინიშნებიან მთავარ საბაჟოს მიერ მინისტრის ნებართვით; მოდარაჯენი ინიშნებიან ადგილობრივი საბაჟოების გამგეთა განკარგულებით.

11. გაუქმებული საბაჟოების კრედიტი იხურება, 12. ახლად მოწყობილ საბაჟო დაწესებულებათა შესანახად თანახმად ამ კანონთან დართულ შტატებისა და ხარჯთ-აღრიცხვისა გადაიდოს სახელმწიფო ხაზინის თანხიდან 543,025 მან.

**კანონი ქართულ უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ.**

ა) ცნობილი იქმნას ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად და დაერქვას მას „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

ბ) ყოველ წლიურ სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ უნდა იქმნას განსაზღვრული თანხა უნივერსიტეტის შესანახად.

**შენიშვნა.** ამა 1918 წელს მიეცეს თბილისის უნივერსიტეტს, თანახმად წარმოდგენილ ხარჯთ აღრიცხვისა — 289,966 მან. და 3 აბაზი.

გ) დამტკიცებულ იქმნას დროებითი ძირითადი დებულებანი უნივერსიტეტისა.

§ 12. თბ. უნივერსიტეტს უფლება აქვს მოძღვართ-მოძღვრობის ანუ დოქტორის სამეცნიერო ხარისხისათვის უნივერსიტეტთან დატოვებული, ან გარეშეთ მოსული გამოსცადოს და უკეთუ შესატყვისს ცოდნას გამოიჩენს, წარდგენილ დისერტაციის ფაკულტეტში განხილვისა და ჯერ ფაკულტეტშივე, ხოლო შემდეგ საჯაროდაც დაცვის ღირსეულად ცნობის შემდგომ, მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭოს.

§ 13. თბ. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს შეუძლიან მეცნიერების წინაშე განსაკუთრებულ ღვაწლის გამო ცნობილს მეცნიერს მოძღვართ-მოძღვრობის ანუ დოქტორობის სამეცნიერო ხარისხი უგამოცდოთ და უდისერტაციოდ პატივისცემის ნიშნად მიანიჭოს.

§ 14. უნივერსიტეტის გამგეობა ყოველწლივ სახალხო განათლების მინისტრს ლექციების ნუსხას უგზავნის და პროფესორთა, კერძო დოცენტების მეცნიერ ხელმძღვანელთა, ლექტორების, ლაბორანტებისა და ასისტენტების შემადგენლობისა, მათ განათლებისა და სამეცნიერო ცენზის შესახებ, ცნობებს აწვდის.

§ 15 ტფ. უნივერსიტეტის სტუდენტებად შეიძლება ორთავე სქესის პირნი იყვნენ, რომელთაც საშუალო სასწავლებელი უნდა ჰქონდეთ გათავებული. თვითეულს ფაკულტეტს უფლება აქვს, თუ საჭიროდ სცნობს, უნივერსიტეტში შემომსვლელთ რომელიმე საგნების დამატებითი წინასწარი ცოდნა მოსთხოვოს.

§ 16. სტუდენტს გარდა ტფ. უნივერსიტეტში ორთავე სქესის მსმენელნიც არიან.

§ 17 სტუდენტები და მსმენელნი ლექციების მოსმენისათვის უნივერსიტეტის სასარგებლოდ და ყოველ სემესტრში ფულს იხდიან, რომლის რაოდენობა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მიერ უნდა იყოს განსაზღვრული.

§ 18. უნივერსიტეტის გამგეობა სტუდენტებს და თუ მოისურვეს მსმენელებმა, უნივერსიტეტში ლექციების მოსმენისა, მუშაობისა და გამოცდების დაჭერის შემდგომ შესაფერისს მოწმობას აძლევს.

§ 19. ნიჭიერს და სამეცნიერო კვლევა-ძიების უნარის პატრონს სწავლადამთავრებულს სტუდენტებს სათანადო ფაკულტეტის პროფესორთა საბჭო პროფესორთა შუამდგომლობით უნივერსიტეტთან სტოვებს ჯერ. სამეცნიერო კვლევა-ძიებაში დასაწინაურებლად, ხოლო შემდეგ საპროფესოროდ მოსამზადებლად.

§ 20. თბ. მთავრობის უნივერსიტეტის პროფესორები, მეცნიერი ხელმძღვანელნი, ლექტორები, ლაბორანტები, წიგნთსაცავის მთავარ, გამგე და უნივერსიტეტთან დატოვებულნი სამხედრო ბეგარას იხდიან საერთო სახელმწიფო კანონების თანახმად.

§ 21. თბ. მთავრობის უნივერსიტეტის სტუდენტები იხდიან სამხედრო ბეგარას აგრეთვე საერთო სახელმწიფო კანონების თანახმად.

§ 22. თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტს საკუთარი ბეჭედი და დროშა აქვს.

## პასუხად „ჯარის-კაცებს“ *)

გაზეთ „ერთობამ“ თავი დაანება მეორე გუსართა პოლკის შესახებ ლანძღვას, მაგრამ ეხლა თავი წამოყო და მისი ადგილი დაიჭირა ქუთათურმა გაზეთმა „სოციალ-დემოკრატმა“. უბედურობა ამ გაზეთებისა, ის არის რომ ამ პოლკის შესახებ თავის დღეში არაფერს დასწერენ კარგსა, გარდა ლანძღვა-გინებისა.

დღესაც „ჯარის-კაცები“ გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“ (იხილეთ № 397) ურჩევენ და ჰკუას ასწავლიან დისციპლინის შესახებ იმ პოლკსა, რომელიც განთქმულია სწორედ ამ დისციპლინით და ამითვე ისახელა მან თავი. მკითხველებს, რა თქმა უნდა, ეცოდინებათ რა გმირის და ვაჟკაცობის სახელი მოიხვეჭა ამ პოლკმა, როგორც აწყურის, საჩხერის მიმართულებით, როდესაც სხვა ნაწილების ჯარის-კაცები უსირცხვილოდ, როგორც თხები, გამორბოდნენ უკან, ამ პოლკის გუსარები და აფიცრები კი გმირულად და თავგამოდებით ებრძოდნენ მტერსა სამშობლოს დასაცავად. აგრეთვე ტყიბულის მხრივ ჯერ კიდევ, შეიძლება, არ დავიწყებიათ მკითხველებს ის გმირობა და ვაჟკაცობა, რომელიც გამოიჩინეს ამ პოლკის აფიცრებმა: როტმისტრმა მებურიშვილმა და კორნეტმა ამირაჯიბმა, რომ ხელმეორედ მოვიდა 27 ამ თვეს ცნობა ამ პოლკის გუსარების და მისი აფიცრების გმირობის შესახებ. მგონი, ყველა ეს აიხსნება იმ დისციპლინით, რომელიც სუფევდა და სუფევს პოლკში.

ყველა ამის შემდეგ წერილის ავტორნი, „ჯარის-კაცები“ ჩვენ დისციპლინაზე გველაპარაკება. მე კარგად ვხედავდი და ვხედავ რა გვარი დისციპლინა სუფევდა და სუფევს სხვა ნაწილებში, სადაც არ სუფევს არც უფროს-უმცროსობა, პატივისცემა, მორიდება უფროსისადმი და სხვა რამ ამგვარი. ხსენებულ ჯარის-კაცებს „სოციალ დემოკრატიდან“ სურთ ამ პოლკის გუსარების და აფიცრების, სახელის გატეხა. ამბავი, რომლის გამოასე აყაყანდა ხსენებული წერილის დამწერი ჯარის კაცები, მდგომარეობდა შემდეგში, უნტერ — აფიცერი გუსარი ბერელაშვილი ასწავლიდა ჯარში ახალ-გაწვეულს ყმაწვილებს. იქვე იდგა გუსარი სხირტლაძე, რომელიც დასცინოდა ხმა მაღლა, თუ შეეშლებოდათ მათ, ბერელაშვილმა გააფრთხილა სხირტლაძე და უთხრა წასულიყო, მაგრამ მან არ გაუგონა, პირიქით შეუბრუნა სიტყვა, ეს იყო მიზეზი, რომ ბერელაშვილი გამოსული მოთმინებიდგან ხელით შეეხო, თუნდაც სხირტლაძემ ამითვე უპასუხა. მე დარწმუნებული ვარ, „ჯარის-კაცებიც“ ამ გვარად მოიქცეოდნენ, რომ ყოფილიყვენ ბერელაშვილის ადგილას, მაგრამ... მაგარი ის არის, ეს პოლკი ინტელიგენტთა პოლკია და ეს გამოსვლაც რაღაც მოულოდნელი, უცარი იყო.

ერთი სიტყვით, თუ უბრალო რამე მოხდა გუსართა პოლკში, თუ ზარბაზნების საშვალებით არა, სოციალურს საყვირით მაინც ამცნებენ ქვეყანას, გუსართა პოლკმა ესა და ეს საქციელი ჩაიდინა და აბა გაჰკიცხეთო! როდესაც კი კარგს საქმეს აკეთებს, ესე ვი თავს სწირავს გმირულად და ვაჟკაცურად სამშობლოს და მის მთავრობას, მაშინ თვალ-ბეცს „ჯარის კაცებს“ ამის [illegible] კი პირში ბურთი ეჩრებათ, ხელებს უდუმდებათ და ჰკვ[illegible] [illegible] სიტყვა [illegible] ხში გმირის სახელი დაიმსახურა.

გეყოფათ თქვენ [illegible] და [illegible] ვაჟკაცურ და [illegible] სჭვ[illegible]ლულნო „ჯარის კაცნო“. როდესაც თქვენს თვალში ტივის ხეს ვერ ხედავთ და სხვის თვალში კი უჩინარ ბეწვსაც ამჩნევთ... მე მხოლოდ ამას გირჩევთ, ჯერ თქვენ თქვენი თავი მოირჩინეთ დისციპლინით, რომელიც, არა მგონია სუფევდეს თქვენს ნაწილში, მერე მოდით და ისე გვასწავლეთ ჩვენ გერმანული დისციპლინა...

რაც შეეხება დეზერტირობას, თითქოს ამ გვარი შემთხვევა, რომელიც მოხდა მეორე გუსართა პოლკში, არის მიზეზით, ძალიან სცდებით. მიზეზი სულ სხვაა, მაგრამ ამაზე გავჩუმდეთ, უჩვენოთაც კარგად ყველამ იცის, თუ თქვენ არ იცით და თუნდაც რომ ასეც იყოს, მაშინაც თქვენ მეორე გუსართა პოლკს ვერ უკიჟინებთ, რადგანაც ამ მოვლენას აქ ადგილი არ აქვს. ამას თვითონ პოლკს შემადგენლობა ამტკიცებს, სადაც თითქმის გუსართა რიცხვი სჭარბობს ნორმალურს პოლკის შემადგენლობას. თუ არის გახშირებული დეზერტირობა, არის იქ სადაც არ სუფევდა და არც ეხლა სუფევს დისციპლინა...

P. S ვთხოვ სხვა გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ.

კოტე თ—შვილი.

*) ჩვენ გაზეთში ამ საკითხის შესახებ გუშინაც გვქონდა მოთავსებული წერილი, მაგრამ სიმართლე რომ აღდგენილ იქნეს ამ წერილსაც ვუთმობთ ადგილს.

რედაქცია

## მღვდლები ჯამაგირს მოელიან.

სოციალისტურ მთავრობას სამღვდელოება ზედმეტ ბარგათ მიაჩნია სახელმწიფოსთვის. მის ნიშნებს ჩვენ საქართველოს მთავრობიდანაც ნათლად ვხედავთ თუ ძალით არ დავიბრმავებთ თვალებს. ჯერ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მთავრობამ და მერე საკუთარი. ჩვენმა მთავრობამ ისე დაიწყო არსებობა [illegible] მთავრობად გამოაცხადა, რომ, ძველებური ადათისამებრ, სადღესასწაულო პარაკლისისა და ლოცვა ვედრებისათვის მღვდლები, არამც თუ პროვინციებში, იქვე თავის სატახტო ქალაქებშიდაც არ შეუწუხებიათ. გარდა ამისა, აგერ უკვე რამდენიმე თვე გადის, რაც ჩვენში სოციალისტური მთავრობა მეფობს, მაგრამ ამ მთავრობას დღემდის აზრადაც არ მოსვლია მღვდლებს წირვა ლოცვის შესრულების დროს მთავრობის მოხსენება დაავალოს. მთავრობა ნეიტრალურ პოზიციას იჭერს სამღვდელოებისადმი და მას არაფერში არ ავანებს. რაც შეეხება ხალხის სამსახურს ესეც პრინციპიალურად გადაწყვეტილი აქვს მთავრობას. სარწმუნოებას ყველგან და, რასაკვირველია, ჩვენშიდაც მთავრობა სინდისის მოვალეობად აღიარებს და ძალით ვერც არავის მონათლავს, ვერც ჯვარს დაწერს და ვერც ალოცვებს. მთავრობა მორწმუნე ხალხს ეუბნება სამღვდელოება შენი ხარჯით დაიქირავე და ილოცეო.

მთავრობის ასეთი მოქმედება რომ ავწონ-დავწონოთ სიმართლესთან ახლოს არის. ძალდატანებითა და ცეცხლითა და მახვილით ქრისტიანობა არსად და არავისაგან არ გავრცელებულა; ამაში ჩვენ თვით ქრისტეს ცხოვრება გვარწმუნებს. საქმის ასე დაყენების შემდეგ, მღვდლების მოლოდინი ჯამაგირების მიღების შესახებ ფუჭია, ოცნებაა. ეს თუ ასეა, მაშ რა უნდა ჰქნას მღვდლებმა, როგორ უნდა ირჩინონ თავი? ნათქვამია, ტრაპეზის მოსამსახურე ტრაპეზისაგან უნდა ირჩენდეს თავსო, ამ დებულების ძალით მღვდლები შიმშილით არასოდეს არ მომკვდარან და არც მოკვდებიან.

მღ. მ. ბუაჩიძე.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.